დანართი №3

მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 3300
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3)	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დამტკიცებული და დაზუსტებული მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა 30%	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%
1	2	3	4	5	6	7	8	9
	მხარჯავი დაწესებულების მთლიანი ასიგნებები	97 000 .0	120 297.0	128 867.6	124%	107.1%		
	პროგრამა №1- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა 3301	5 856.0	5 538.6	5 376.6	94.6%	97.1%		
	პროგრამა №2- ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ 3302	55 342.0	81 346.5	89 998.9	147%	110.6%		
	პროგრამა №3- სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა 3303	19 181.0	17 370.5	17 336.9	90.6%	99.8%		
	პროგრამა №4-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა 3304	16 621.0	16 041.4	16 135.2	96.5 %	100.6%		
	ქვეპროგრამა №1- მუზეუმების ხელშეწყობა 330401	10 090.0	10 623.6	10 616.9	105.3%	99.9%		
	ქვეპროგრამა №2-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა 330402	6 531.0	5 417.8	5 518.3	83.0%	101.9%		

3ა

ახსნა–განმარტება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ“ (კოდი 3302) დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია:

1) **2016 წელს დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებით:**

სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (კოდი 33020110) ასიგნებები გაიზარდა 254 256 ლარით. ფოლკლორული ეთნოგრაფიული ნამუშევრების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნის (კომპლექსური ექსპედიცია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში) და ქართული საგალობლების სანოტო ხელნაწერთა მონაცემთა ბაზის აღწერილობის მომზადების, სალოტბარო სკოლების პედაგოგთა გადამზადების, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალისა (2015-2016) და „შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი 2016“ ორგანიზების ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ – მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის (კოდი 33020117) ასიგნებები გაიზარდა 756 211 ლარით. სპექტაკლების: „მრისხანება“, „ნაწილის“, “არ გვიხდიან?! არ გადავიხადოთ“. დადგმის, თეატრის აშშ-ში გასტროლის, ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისა და ფესტივალი „საჩუქარის“ ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ - კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი (კოდი 33020123) ასიგნებები გაიზარდა 127 773 ლარით პროექტის „ჯაზის საერთაშორისო დღე“ უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი ჟურნალ „კულტურა პლუსის“ მომზადებისა და შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ – კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის (კოდი 33020124) ასიგნებები გაიზარდა 348 554 ლარით. „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის“ ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ – თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი (კოდი 33020125) ასიგნებები გაიზარდა 159 142 ლარით. „ღვინის ტურიზმის“ ღონისძიების, დასავლეთ საქართველოში 6 კონცერტის ჩატარების, გერმანიაში საკონცერტო ტურნეს მოწყობის, „თბილისის ბაროკოს ფესტივალი 2016“-ში მონაწილეობისა და გათბობის სისტემის უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ – მწერალთა სახლის (კოდი 33020127) ასიგნებები გაიზარდა 366 389 ლარით. მწერალთა სახლის კონკურსი ლიტერატურული ჟურნალების,“ლიტერატურული პრემიის“, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის გაცემის, თბილისის მეორე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის, მწერალ რეზო ინანიშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მხარდაჭერისა და მწერალთა სახლის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად.

2) **2016 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებით:**

სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (კოდი 33020110) ასიგნებები გაიზარდა 282 408 ლარით. 2016 წლის კულტურულ ღონისძიებათა (Check in Georgia) შესრულებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ - კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი (კოდი 33020123) ასიგნებები გაიზარდა 22 854 080 ლარით 2016 წლის კულტურულ ღონისძიებათა (Check in Georgia) შესრულებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.